ხაშურის მოამბე

№36(360) 3 ოქტომბერი, ორშაბათი, 2022 წელი

პატივი მიაგეს აფხაზეთის ომში დაღუპუთა ხსოვნას

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლევან გამრეკელმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა,აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ მებრძოლთა ხეივანი გვირგვინით შეამკეს.

მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს ქვეყნის დეოკუპაცია.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტი 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და 13 თვისა და 13 დღის განმავლობაში გაგრძელდა.

კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 10 ათასზე მეტი მშვიდობიანი ქართველი და ასეულობით უგზო-უკვლოდ დაიკარგა. დაიჭრა და დასახიჩრდა 10 ათასამდე კაცი. დევნილად იქცა 300 ათასზე მეტი ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ სოხუმის დაცემის 29 წლისთავთან დაკავშირებით და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივის მიგების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, სახელმწიფო და მუნიციპალური დროშები დაშვებული იყო.

შეხვედრა, რომელზეც საქართველოსა და ნატოს შორის თანამშრომლობა და სამომავლო პერსპექტივები განიხილეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ-ის - „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ ორგანიზებით შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან გამრეკელი დაესწრნენ. ასევე, შეხვედრას მერიის,საკრებულოსა და აიპების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მთავარ თემას საქართველოსა და ნატოს შორის თანამშრომობა და სამომავლო პერსპექტივები წარმოადგენდა, რომელიც დამსწრეებს სამხედრო ჟურნალისტთა ასოციაციის დამფუძნებელმა და სამხედრო ექსპერტმა გიორგი ცხვიტავამ გააცნო. მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა ნატო-საქართველოს პარტნიორობის ისტორიაზე, არსებულ თანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებზე.

შეხვედრის ბოლოს გაიმართა საინტერესო დისკუსია.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი 2005 წელს დაფუძნდა, რომლის მიზანია ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ მოსახლეობის მეტად ინფორმირებულობა.

ორგანიზაციის „მეგობრობის ხიდი ქართლოსი“ წარმომადგენლებმა ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში სამუშაო შეხვედრა გამართეს

პროექტის „სუფთა გარემო ნარჩენების გარეშე ხაშურის მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში დამსწრეებს კვლევის შედეგები წარუდგინეს და ხაშურში დასუფთავების მიმართულებით არსებული მდგომარეობა გააცნეს. გარდა ამისა, შეკრებილებმა არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გადასადგმელ ნაბიჯებზეც იმსჯელეს.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

პროექტი ხორციელდება კონსორციუმი „კონრად ადენაუერის“ ფონდის (KAS) მხარდაჭერით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

მოისმინეს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში

მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა საფინანო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა მუხრან ჩადუნელის თავმჯდომარეობით.

კომისიამ მოისმინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია ადგილობრივი მოსაკრებლებისა და შემოსავლების მობილიზების კუთხით 2022 წლის 8 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ. სამსახურის ხელმძღვანელმა, ლელა მაჭარაშვილმა სხდომაზე აღნიშნა, რომ. ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 16 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 21 353.10 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით, ირიცხებოდა 5 738.2 ათას ლარი (აქედან, ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი, 5 077.7 ათასი ლარი, დელეგირებული 71.9 ათასი ლარი მთავრობის განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი - 588.6 ათასი ლარი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 35176,7 ათასი ლარით, რაც 13 823,6 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შემოსულობების საკასო შესრულებამ 25 680,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 128,2%, ხოლო წლიური გეგმის 85.50%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა 100,34% (14037,9 ათასი ლარი), მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი - 98.52%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი - 126.1%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 8.05% , სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი -31.38% არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი- 5.74%.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 146.86%-ით (1 198.600 ათასი ლარი), მათ შორის: რენტა 123.55%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 77.85%ით,მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 67.54%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 141.30%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 45.82%-ით.

სხდომაზე, კომისიის წევრებს გააცნეს დასუფთავების მოსაკრებლის ელექტრონულ ბაზაში არსებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა რაოდენობა და შესაბამისი დარიცხვები:

ფიზიკური პირი - 15495;

იურიდიული პირი - 1280;

9779 ფიზიკურ პირს ყოველთვიურად ერიცხება (ერთ სულზე 0.50 თეთრი);

5716 ფიზიკურ პირს ყოველთვიურად ერიცხება (ერთ სულზე 0.25 თეთრი);

იურიდიული პირების ყოველთვიური დარიცხვა შეადგენს - 9266 ლარს;

ფიზიკური პირების ყოველთვიური დარიცხვა შეადგენს - 14041 ლარს;

სხდომაზე აღინიშნა, რომ ადგილობრივი მოსაკრებლების სახეს, ოდენობას შემოღების წესს და მოსაკრებლის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ'' და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აპრილის №24 დადგენილებით „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ''

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება და აღრიცხვა ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ.

სხდომაზე აგრეთვე განიხილეს საკითხი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს'' წერილი ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის'' მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფლების ამბულატორიების სიმბოლურ ფასად გადაცემის თაობაზე.

ხაშურის მეექვსე ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდა

მეექვსე ბაღის ხელმძღვანელ თიკო ჭავჭავაძეს, პედაგოგებს, აღსაზრდელებს და მათს მშობლებს ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყება მიულოცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების

გაერთიანების'' ხელმძღვანელმა ლელა გელაშვილმა და სიმბოლური საჩუქრებიც გადასცეს.

საბავშვო ბაღის შენობაში მიმდინარე სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ადგილობრივმა ბიუჯეტმა 122 989 ლარით დააფინანსა, დასრულებულია. მეექვსე ბაღი სააღმზრდელო პროცესს სრულ მზადყოფნაში ხვდება. მოწესრიგებულია სველი წერტილები, სამზარეულო, სააღმზრდელო და საძინებელი ოთახები.

საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ჩვენი პატარების სააღმზრდელო პირობები დღითიდღე უმჯობესდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა ყველა პატარას, მათ პედაგოგებს, საბავშვო ბაღებში დასაქმებულ თითოეულ ადამიანს ვუსურვო წარმატებული სააღმზრდელო წელი,'' - განაცხადა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მეექვსე ბაღი 116 აღსაზრდელს ემსახურება.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20 ,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5, 6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29 ,30,31,32,33,34,35)

კავშირგაბმულობის შემკეთებელმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი ალ. ხვედელიძე) იკისრა მოვალეობა, ივნისისა და ივლისის გეგმები შეასრულოს 200 პროცენტით. შეაგროვოს 200 ტონა ჯართი. გეგმის გარეშე უსასყიდლოდ შეაკეთოს 2 აპარატი და სხვა.

ყველა ბრიგადამ ივალდებულა, უწუნო, უავარიო მუშაობის ჯილდოდან 5 პროცენტი ჩარიცხოს თავდაცვის ფონდში. დისტანციამ ვალდებულება აიღო, მაისის საწარმოო გეგმა შეასრულოს 125 პროცენტით, იმუშაოს უწუნოდ, უავარიოდ, მოახდინოს მასალის 10 პროცენტით ეკონომია.

1942 წლის ივნისის თვეში, კიროვობადის, სამტრედიისა და თბილისის დისტანციებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის ხაშურის დისტანციამ, რომელმაც ყველა სახის საწარმოო დავალება მთლიანად და გადამეტებით შეასრულა. 21-ის ნაცვლად გამოცვალა 35 ბოძი, ამასთან, 30 ბოძი გამოინახა შინარესურსებიდან. ჰიდრავლური ცენტრალიზაციის 6 ერთეულის ნაცვლად შეკეთებულია 7 ერთეული.

ადგილობრივი გაზეთი აღნიშნავდა: „ივნისის თვეში მრავალი მეტად მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულეს დისტანციის მუშებმა და სპეციალისტებმა გეგმის გარეშე და, რაც მთავარია, უსასყიდლოდ. ელ.მექანიკოსებმა ივ. კუპრაძემ. გ. ბერიძემ, გ. ხაჩიძემ, ნიკოლოზ და დავით ჭყოიძეებმა აითვისეს მღებავების პროფესია და შეღებეს 66 სასიგნალო ბოძი, რამაც მოგვცა 2000 მანეთის ეკონომია. ცნობილი სტახანოველების ფრანგიშვილისა და ბლუაშვილის კოლონებმა შეაკეთეს 3 საისრო აპარატი, რითაც წარმოებამ 3600 მანეთი დაზოგა. სულ ივნისის თვეში უსასყიდლოდ და გეგმის გარეშე შესრულებულია 35265 მანეთის სამუშაოები.

ივნისის თვეში შემოტანილ იქნა და უკვე ხორციელდება 2 რაციონალიზატორული წინადადება. ინჟინერმა დევდარიანმა ელექტროგათბობით მიაღწია დაზიანებული კონდესატორების აღდგენას, ხოლო ზეინკალმა ტენდლერმა მოაწყო დაზგა, რომელიც აღადგენს ნახმარ ლუქებს და ამით თავდაცვისთვის საჭირო ლითონის – ტყვიის დიდ ეკონომიას იძლევა.

ახლა ხაშურის დისტანციას პირველი ადგილი უკავია ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზაზე და წარმატებით ინარჩუნებს 1941 წლის მეოთხე კვარტალში საუკეთესო მუშაობისთვის მოპოვებულ გზის გარადმავალ წითელ დროშას. დისტანციის 205 თანამშრომლიდან 120 ლუნინელია და 74 სტახანოველი“ .

წერილის ავტორი ლ. თეინული (კაკიაშვილი) ყურადღებას ამახვილებს დისტანციის ცალკეულ მუშაკზე, რომელთა თავდადებული საქმიანობა ხელს უწყობდა საერთო წარმატებას: „როდესაც დისტანციის მიერ მოპოვებულ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, უპირველესად უნდა აღვნიშნოთ საუკეთესო მუშაობა ელმექანიკოს გიორგი ჭყოიძისა, რომელმაც ივნისში 1000 მანეთის ეკონომია მოგვცა; ელმექანიკოს არტემ გერმანაშვილის, რომლის კოლონამაც 6 თვის გეგმა 200 პროცენტებით შეასრულა და 4000 მანეთი დაზოგა; ელმექანიკოს კონსტანტინე ფრანგიშვილისა, რომელმაც 250 პროცენტებით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა; ერთდროულად სამ აპარატზე უწუნოდ მუშაობს ტელეგრაფისტ-მორზისტი მარკიანე ორჯონიკიძე, ნადეჟდა გაგლოევა ერთდროულად სამი კაცის მოვალეობას ასრულებს.

დისტანციის ხელმძღვანელობა და პარტბიურო სერიოზული ყურადღებით ეკიდებიან ახალი კადრების მომზადებასა და ლუნინური მუშაობის მეთოდების დანერგვის საქმეს. სხვადასხვა სპეციალობებს დაეუფლა 75 ქალი, მომზადდა 16 ბრიგადირი და კვალიფიკაცია აიმაღლა 70 თანამშრომელმა. ლუნინურად მუშაობის შედეგად შემცირებულ იქნა 3 დამხმარე მუშისა და 4 ელმექანიკოსის თანამდებობები, რითაც დისტანცია ყოველთვიურად ზოგავს 2875 მანეთს. ელმექანიკოსები – ღონიკიშვილი, ვ. თომაძე, გ. ჩხეიძე, ტ. ლომიძე ორ-ორი მექანიკოსის სამუშაოს ასრულებენ.

დისტანციის მუშაკთა კოლექტივი, რომელმაც ამიერკავკასიის რკინიგზაზე პირველი ადგილი დაიკავა, იბრძვის პირველი ადგილისათვის რკინიგზელთა სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში”.

1942 წელს, წარმატებული მუშაობის შედეგად, ამიერკავკასიის რკინიგზაზე სოცშეჯიბრებებში პირველი ადგილი მოიპოვა კავშირგაბმულობის ხაშურის დისტანციამ და გადაეცა გზის გარდამავალი დროშა, თუმცა კოლექტივმა ვერ შეინარჩუნა იგი და შემდეგ სხვა დისტანციას გადაეცა.

დისტანციის კოლექტივმა გააჩაღა თავდადებული ბრძოლა რკინიგზაზე პირველობისა და გარდამავალი დროშის დასაბრუნებლად. შედეგმაც არ დააყოვნა. დისტანციამ გზაზე გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 1943 წლის მეორე კვარტლის შედეგებით, კვლავ მოიპოვა პირველი ადგილი და გზის გარდამავალი დროშაც დაიბრუნა. დისტანციის 60 თანამშრომელმა მიიღო ფულადი ჯილდო.

1943 წლის ივნისის თვის შედეგებით, ასეთივე წარმატებებს მიაღწია ხაშურის საელმავლო დეპოს კოლექტივმა, რაც აღინიშნა გზის სამი გარდამავალი დროშით.

რამდენიმე თვეა ელმავალ №22-179-ის უფროსი მემანქანის შიუკაშვილის გუნდს პირველობა აქვს გზის საბარგო მატარებლების საელმავლო გუნდებს შორის და 1943 წლის ივნისში კვლავ დაიმსახურა გარდამავალი დროშა.

საგზაო კომისიამ, მასთან ერთად, პირველი ადგილი მიაკუთვნა ელმავალ №22-162-ის უფროსი მემანქანის ვლადიმერ ფრანჩუკის გუნდს. იგი მიჩნეულ იქნა გზის სამგზავრო მატარებელთა საუკეთესო საელმავლო ბრიგადად.

კომისიამ გზის საელმავლო დეპოებს შორის გამარჯვებულად ცნო და პირველი ადგილი მიაკუთვნა ხაშურის საელმავლო დეპოს და გადასცა გარდამავალი წითელი დროშა.

გზათა სახალხო კომისრის ლ. კაგანოვიჩის 1943 წლის 28 დეკემბრის სპეციალური ბრძანებით, სხვებთან ერთად, დაჯილდოვებული იქნენ ამიერკავკასიის რკინიგზის ენერგომომარაგების ხაშურის უბნის მუშაკები, რომლებმაც უზრუნველჰყვეს საწარმოო გეგმების გადამეტებით შესრულება და აქტიური მონაწილეობა მიიღეს გერმანელ დამპყრობთაგან გათავისუფლებული ორჯონიკიძის რკინიგზის ენერგომომარაგების ელექტროფიცირებული უბნის აღდგენის საქმეში.

ნიშნით „საპატიო რკინიგზელი“ დაჯილდოებულ იქნა უბნის უფროსი ნიკოლოზ მიხეილის ძე წერეთელაშვილი.

ნიშნით „წარჩინებული მემანქანე“ დაჯილდოებულნი იქნენ:

ივანე ისაკის ძე ბანცაძე – მეტალისტი;

თედორე პავლეს ძე საჟენცოვი – ელექტრომონტიორი;

პავლე მიხეილის ძე თავაძე – უბნის უფროსის მოადგილე.

ქალთა საერთაშორისო დღეს ახალი წარმატებებით შეხვდნენ ენერგომომარაგების ხაშურის უბანში მომუშავე ქალები. სამამულო ომის დაწყების შემდეგ აქ სამუშაოდ 38 ქალი მოვიდა. 9 დიასახლისმა წარმოებაში შეცვალა ფრონტზე გაწვეული ქმარი. ქალებმა სასწრაფოდ აითვისეს საწარმოო პროფესიები და ახლა თავდადებით მუშაობდნენ. 11 ქალი ელექტრიკოსად და ელექტრიკოსის თანაშემწედ მუშაობდა. 9 ქალი ელექტრომონტიორად, 7 - მენიშნედ, 3 ელექტროქსელის მონტიორის თანაშემწედ მუშაობს. განსაკუთრებით ისახელეს თავი ელექტრიკოსებმა: ელენე თელიამ და ანასტასია ნოზაძემ, აგრეთვე ნინა კიკნაძემ და ეთერ გელაშვილმა, რომლებიც ელექტრომექანიკოსის თანაშემწედ მუშაობდნენ.

ყოველთვის წარმატებით იღვწოდა აღებულ ვალდებულებათა გასანაღდებლად ენერგომომარაგების ხაშურის უბანი. 1944 წელს, რკინიგზელთა დღისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრის დღეებში, უბნის კოლექტივის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია გზათა სახალხო კომისრის ლ. მ. კაგანოვიჩის დეპეშამ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1944 წლის მაისის თვის შედეგებით ელექტრო მოწყობილობათა დაუბრკოლებელი მუშაობის უზრუნველყოფისთვის, ქვესადგურების და საკონტაქტო ქსელის რევიზიისა და შემოწმების გეგმის გადამეტებისთვის ენერგომომარაგების ხაშურის უბანს მიენიჭა ფულადი პრემია 10 000 მანეთის რაოდენობით. სახალხო კომისარი გამოთქვამდა რწმენას, რომ ენერგომომარაგების უბნის კოლექტივი კიდევ უფრო ფართოდ გაშლიდა სოციალისტურ შეჯიბრებას რკინიგზელთა სტალინური დღის შესახვედრად, ახალ წარმატებებს მიაღწევდა ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებისა და დიდი სტალინისათვის მიცემული ფიცის შესრულების საქმეში.

1942 წლის აგვისტოში საგზაო კომისიამ შეაჯამა ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოთა შეჯიბრების შემოწმების შედეგები ივლისში, რომლის მიხედვით ხაშურის კვანძის საწარმოებს მიეკუთვნა შემდეგი ადგილები:

მოძრაობის ხაშურის განყოფილებას - პირველი ადგილი.

გადამწყვეტ სადგურებს შორის ხაშურის სადგურს მიეკუთვნა მეოთხე ადგილი.

ხაშურის საორთქლმავლო დეპოს - მეორე ადგილი, საელმავლო დეპოს - პირველი ადგილი, სავაგონო დეპოს მიეკუთვნა მეოთხე ადგილი სალიანდაგო დისტანციას -მეათე ადგილი, კავშირგაბმულობის დისტანციას - პირველი ადგილი, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა კანტორას - მეორე ადგილი.

ნოემბრის თვის შედეგებით ხაშურის კვანძის საწარმოებმა შემდეგი ადგილები დაიკავეს სოციალისტურ შეჯიბრებაში:

ხაშურის მოძრაობის განყოფილება – მეოთხე ადგილი, ხაშურის რკინიგზის სადგური – მეექვსე ადგილი, მეორე ჯგუფის საორთქლმავლო დეპოებს შორის ხაშურის დეპოს მიეკუთვნა მეშვიდე ადგილი.

ხაშურის საელმავლო დეპოს – მეორე ადგილი;

ენერგომომარაგების პირველ უბანს – მეექვსე ადგილი;

ხაშურის სავაგონო უბანს – მეოთხე ადგილი;

სალიანდაგო დისტანციას – მეხუთე ადგილი;

დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორას – მეშვიდე ადგილი.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით, ფრანჩუკის საელმავლო ბრიგადა და ენერგომომარაგების ხაშურის ქვესადგური კვლავ საუკეთესოები იყვნენ გზაზე და მოწინავეთა რიგებში იდგნენ .

1942 წლის 25 ოქტომბერს, კვირას, რკინიგზაზე ჩატარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომკავშირული კვირაობა, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხაშურის კვანძის კომკავშირლებმა. მათთან ერთად კვირაობაზე გამოვიდნენ წარმოება-დაწესებულების ყველა მუშა და მოსამსახურე. კვირაობაში რკინიგზის კვანძის 1157 მოსამსახურე იღებდა მონაწილეობას, მათ შორის იყო 367 კომკავშირელი. კვირაობის მონაწილეებმა იმუშავეს ლიანდაგის შეკეთებაზე, თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელებაზე, საორთქლმავლო, საელმავლო, სავაგონო დეპოებსა და ენერგომომარაგების უბანში მოაწყეს ლოკომოტივების, ვაგონების, დაზგებისა და ძრავების შეკეთება.

ორგანიზებულად და ნაყოფიერად ჩაატარეს „კვირაობა“ მეხუთე სალიანდაგო დისტანციის შრომითმა კოლექტივმა, ხაშურის, ლიხის, გომის საოსტატოებმა, ბ. იაშვილის, ზ. კაპანაძის, ე. ტაბატაძის და სხვა ბრიგადებმა, ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს. ამ დღეს დისტანციის 216 მოსამსახურემ 320 მანეთის სამუშაო შეასრულა.

ელდეპოს საფრონტო კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირმა ბუტულაშვილმა დღის დავალება 375 პროცენტით შეასრულა და 42 მანეთი გამოიმუშავა. კომუნისტმა მჭედელმა რევაზიშვილმა გამოიმუშავა 54 მანეთი და გეგმა 400%-ით შეასრულა. დღიური დავალება 300 პროცენტით შეასრულა კომკავშირელმა ქალმა, ხარატმა ანგ. კვალიაშვილმა. ელდეპოელებმა ამ დღეს 8 ვაგონიც გადმოტვირთეს, რითაც ხელი შეუწყეს განყოფილებას ვაგონების სწრაფ ბრუნვაში.

„კვირაობაზე“ მომუშავეებმა საორთქლმავლო დეპოში გარეცხვითი შეკეთებიდან გამოუშვეს ერთი ორთქლმავალი, კომკავშირელმა ხარატმა კოტე ლომიძემ გეგმა 250 პროცენტით შეასრულა, ხოლო თომაძემ - 370 პროცენტით.

„კვირაობაზე“ ხაშურელმა რკინიგზელებმა 6020 მანეთი გამოიმუშავეს, მთლიანად განყოფილებამ კი 11 320 მანეთი, რომელიც ჩარიცხული იქნა საქართველოს კომკავშირის სახელობის სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში.

1942 წლის იანვარში სამხრეთის ფრონტის რკინიგზის კვანძის საწარმოებმა გაუგზავნეს 8 ათასი მანეთის ღირებულების 96 ამანათი. ამავე პერიოდში სამხედრო სესხზე ხელმოწერა ჩატარდა 6 კვირის ხელფასზე. სავაგონო დეპოს შემდუღებელმა ს. კილასონიამ ხელი მოაწერა 1500 მანეთზე, საორთქმავლო დეპოს მემანქანეებმა ვ. გოგნაძემ და ტ. ბლიაძემ - 2100 მანეთზე თითოეულმა, საელმავლო დეპოს უფროსის მოადგილემ კურტანიძემ - 2200 მანეთზე.

1942 წლის ოქტომბრისათვის კვანძის საწარმოებში, ფრონტის საჭიროებისთვის, მობილიზებული იყო 20 200 მანეთი.

საახალწლოდ ფრონტისათვის შეგროვილი იქნა 3740 კგ. ხილი, 660 კგ ხორცი, 1120 კვერცხი, წინდები, ხელთათმანები. სულ საახალწლო „ტვირთი“ იწონიდა 7,5 ტონას. იგი ფრონტზე წაიღეს რაიონის მშრომელთა დელეგაციამ, რომელშიც შედიოდნენ რაიკომის მდივანი შ. ჩიტიაშვილი, საელმავლო დეპოს ოსტატი ლ. ქვირია და წრომელი კოლმეურნე ელ. გრიგალაშვილი.

სარკინიგზო კვანძზე ფართო ხასიათი მიიღო „კვირაობების“ მოწყობამ. სულ ომის პერიოდში კვანძზე მოწყობილ „კვირაობით“ გამომუშავებული იყო 58407 მანეთი, რაც ჩარიცხული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში.

1944 წლის 23 თებერვლიდან, „კვირაობის“ ჩატარების დროს, 1 მარტამდე კვანძის საწარმოებში დამზადებულ იქნა 1541 ცალი იარაღი.

მარტო ერთ დღეს 1944 წლის 16 აპრილს რკინიგზელებმა დაამზადეს 997 იარაღ-ინვენტარი, იმავე წელს, რკინიგზელთა საკავშირო დღის აღსანიშნავად მოწყობილ კვირაობაზე გამომუშავებული 15200 მანეთი გადაირიცხა აღდგენით სამუშაოებზე.

1943 წლის 13 ივლისს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანმა შ. გურეშიძემ შეიტანა წინადადება, რომ აღედგინათ ფრონტზე დაზიანებული ვაგონები. გადაწყდა – 1 აგვისტოსთვის – რკინიგზელის დღისთვის არასამუშაო საათებში გადაეკეთებინათ 25 ნადავლი ვაგონი, ისე, რომ ხელი არ შეშლოდათ სხვა სამუშაოებში.

ხაშურელმა რკინიგზელებმა 15 დღის განმავლობაში წარმატებით გაართვეს თავი ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. 1 აგვისტოსთვის შეკეთებული და გადაკეთებული იყო 25-ვე ვაგონი. აქედან 11 ვაგონი შეკეთებულ იქნა საელმავლო, 8 საორთქლმავლო, 4 სავაგონო დეპოების მიერ და 1-1 ენერგომომარაგების დისტანციისა და აღმდგენი მატარებლის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივების მიერ.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ხაშურის მუნიციპალიტეტის შესახებ

(მოსახლეობა და ეკონომიკური მდგომარეობა)

XVIII საუკუნის დასაწყისი შედარებით მშვიდობიანი პერიოდია ხაშურის რეგიონისათვის. ადგილი აქვს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებას, აღმავლობას. მაგრამ 20-იანი წლების დასაწყისიდან ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალა. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ოსმალებმა და 1723 წელს თბილისი დაიპყრეს. აქედან ჯარი გაგზავნეს ქართლში და ადვილად დაიჭირეს გორი და სურამი.

ვახტანგ VI, 1724 წელს, იძულებული გახდა, რუსეთში წასულიყო. ოსმალებმა ქართლის სამეფო ვახტანგის ძმას - იესეს მისცეს სამართავად. მანამდეც, სანამ ოსმალები დაიპყრობდნენ ქართლს, ირანის მიერ ვახტანგის მაგივრად სამეფო ტახტზე იესე იყო დასმული.

დაიწყო „ოსმალობის“ სახელწოდებით ცნობილი პერიოდი ქართლის სამეფოს ისტორიაში. დამპყრობლებმა ქართლის სამეფოს მოსახლეობა აღწერეს. აღწერის მასალები გაერთიანებულია „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სახელწოდებით ცნობილ კრებულში. ქართლის სხვა რეგიონებთან ერთად, 1726-1728 წლებში, ოსმალებმა ხაშურის რეგიონის აღწერაც მოახდინეს.

„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ქართული თარგმანი, რომელსაც ახლავს შესავალი და გამოკვლევა, 2009 წელს გამოიცა აკად. ს. ჯიქიას და პროფ. ნ. შენგელიას მიერ. დავთართან დაკავშირებით დაიბეჭდა ნ. შენგელიას არაერთი სტატია. მათ შორის გამოვყოფთ სტატიას „საამილახვაროს ნაჰიე „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, რომელიც ჩვენთვის საინტერესო რეგიონს - ხაშურის მუნიციპალიტეტსაც ეხება.

დავთარში მოსახლეობა აღწერილია ნაჰიების, ანუ სათავადოების მიხედვით. ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ორ ნაჰიეში - საციციანოსა და საამილახვროშია აღწერილი. უნდა შევნიშნოთ, რომ არ ხერხდება დავთარში აღწერილი ზოგიერთი სოფლის იდენტიფიკაცია თანამედროვე სოფლებთან. აქედან გამომდინარე შესაძლებელი ხდება მხოლოდ დავთარში აღწერილი ხაშურის მუნიციპალიტეტის 43 სოფლის მონაცემების გათვალისწინება.

საციციანოს ნაჰიეში ხაშურის მუნიციპალიტეტიდან შემდეგი სოფლების იდენტიფიკაცია ხერხდება - კილეთი (დღევანდელი ყელეთი), ბოსლეთი, ზემოვეთი (წვიმოეთი), თრუმი (წრომი), ქირზისხევი (კრისხევი), შულიშკური (შლუყური) და კალიბი (ხალები).

რაც შეეხება საამილახვროს ნაჰიეს, აქ სურათი უფრო ნათელია, აღწერაში შეტანილი ყველა სოფლის იდენტიფიკაციაა მოსახერხებელი. ეს სოფლებია: ქვიშხეთი, ტეზერი, სათესველი ჩალა, სურამი, ბეკამი, გვერდისუბანი, გორათი, ხაშური, ოსიაური, ახალსოფელი, სათივე (ალბათ სატივე),ლუბირმა (ლუბრუმა),ქემერტი (ქემფერი),ოძისი,უთხვა (ურთხვა), წაბლოვანი, იტრია, ჩუმათელეთი, ცედანი, ბიჯნისი, ფონა, ბრილი, ვაყა, სომანეთი,ალი,ნაბახთევი,სათესველი ნაბახთევი,კლდისწყარო,დომაცხოვი (დუმაცხოვი), ქინძათი, უწლევი, წაღვლი, ფლევი, ტკოცა და ულუნბა.

ოსმალებს თითოეულ ოჯახში აღწერილი ჰყავთ ყველა სრულასაკოვანი მამაკაცი, აღწერის ბოლოში მითითებული აქვთ მათი რიცხოვნება. ზოგიერთ შემთხვევაში ნაჩვენებია სოფელში სახლების რაოდენობა. მითითებულია მიწის ნაკვეთები, რომლებზეც შეწერილია გადასახადები ფულად ერთეულში. აგრეთვე ცალკეა გამოყოფილი ველზე და ვენახზე გადსახადები. შემდეგ ჩამოთვლილია ის გადასახადები, რასაც სოფელი იხდიდა. კერძოდ, ეს გადასახადებია: ისფინჯი, გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, სკაზე, ცხვარზე, ღორზე, წისქვილზე, საქორწინო გადასახადი, დეშთიბანის,მიწაზე თაფუს გადასახადი და სხვ. თითოეული გადასახადი ნაჩვენებია ფულად ერთეულებშიც.

პროფ. ნ. შენგელია აღწერის ბოლოში, მითითებული კაცების რაოდენობას კომლებად მიიჩნევს, რაც არასწორი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში კომლად სახლების რაოდენობა უნდა იქნას მიღებული. ასეთი განცხადების უფლებას აღწერებზე დაკვირვება გვაძლევს. თუ ერთ კომლად ჩაითვლება აღწერაში მითითებული და მასთან მიმართებაში მოხსენებული პირები, საბოლოო ჯამში, ვღებულობთ მითითებული სახლების რაოდენობას. მაგალითად,პროფ. ნ. შენგელია,თვლის,რომ ხაშურში ცხოვრობს 15 კომლი, რადგან დაფიქსირებულია ამ რაოდენობის კაცი. თუ ჩვენ აღწერაში მითითებულ და მასთან მიმართებაში მოხსენიებულ პირებს ერთ კომლად მივიჩნევთ, ვღებულობთ 9 კომლს. აღწერაში მითითებულია 9 სახლი, რაც კომლთა რაოდენობას ემთხვევა. ასეთი დამთხვევებია ყველა სოფლის აღწერის დროს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დავთარში ხაშურის მუნიციპალიტეტიდან 43 დასახლებული პუნქტია აღწერილი. ანალიზი გვიჩვენებს, რომ 43 დასახლებულ პუნქტში 1299 კომლი მოსახლე ცხოვრობს. ოსმალური გადასახადები ითვალისწინებდა როგორც ნატურით, ასევე ფულით გადახდას. ხაშურის მუნიციპალიტეტზე შეწერილი გადასახადები ფულად ერთეულში შეადგენდა 661.711 ახჩას. ცალკეული გადასახადების სურათი მუნიციპალიტეტში ასეთია:

ერთ-ერთი მთავარი გადასახადი, რომელიც ყველა სოფელს აქვს შეწერილი, ისფინჯია. მას იხდის კომლის ყველა სრულწლოვანი წევრი. პროფ. ვ. გაბაშვილის მიხედვით, ეს გადასახადი ქრისტიანთათვის იყო დაწესებული. გადასახადს იხდიდა როგორც დაქორწინებული ისე დაუქორწინებელი მოსახლეობა ნებართვაში - ეწარმოებინა მეურნეობა. ისფინჯის გარეშე მიწაზე მეურნეობას ვერავინ გაბედავდა (ვ. გაბაშვილი, სტატიების კრებული, III, თბ.2018, გვ.229). მუნიციპალიტეტში ყველა კომლის სრულწლოვანი წევრია 2201 კაცი. სწორედ ესენი იხდიან ისფენჯის გადასახადს, რაც 201.360 ახჩას შეადგენს. ერთი კაცი იხდის 92 ახჩას.

ისფინჯის გადასახადს მოსდევს გადასახადი ხორბალზე. მუნიციპალიტეტი იხდის 7380 ქილას, რაც ფულად ერთეულში შეადგენს 147.600 ახჩას. საშუალოდ, ერთი სტამბოლური ქილა შეადგენდა 25 კილოგრამს. ამ შემთხვევაში გადასახადი ყოფილა 7380 X 25 = 184500 კგ. ერთი გადამხდელი იხდიდა 184500 : 2201 = 84 კგ-ს. ერთი კომლი იხდიდა იმდენს, რამდენი გადამხდელიც იყო კომლში.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე შეწერილი იყო ქერის გადასახადი, რაც შეადგენდა 4300 ქილას. ახჩებში კი 63550 - ს. კილოგრამებში ქერის გადასახადი შეადგენს 4300 X 25 = 107500 - ს. ერთი გადამხდელი იხდიდა 107500 : 2201 = 49 კგ ქერს.

გადასახადი ჭვავზე შეადგენდა 1330 ქილას, ფულად ერთეულში - 21350 ახჩას. სულ უნდა გადაეხადათ 1330 X 25 = 33250 კგ. ერთი გადამხდელი იხდის 33250 : 2201 = 16 კგ-ს.

ფეტვი გადასახდელი იყო 3070 ქილა, 21350 ახჩის ღირებულების. იხდიდნენ 3070 X 25 = 76750 კგ - ს. ერთ გადამხდელი იხდის 15 კგ - ს. მოსახლეობა იხდის უშრის გადასახადს. ამ გადასახადს იხდიდნენ ვენახზე, ბოსტნეულზე, ხილზე და ა.შ. მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელი აღნიშნულ გადასახადს ძირითადად იხდის ვენახზე. მცირე გამონაკლისი (ტკოცა, ფლევი, წაღვლი, უწლევი, ქინძათი, დუმაცხოვი, ნაბახტევი, სომანეთი, ებრაელთა დასახლება, შინდარა, სურამი) ვენახთან ერთად იხდის ხილზეც. ბოსტნეულზე უშრის გადასახადს იხდიდა ცედანი და იტრია.

შეწერილი გადასახადიდან კარგად ჩანს მუნიციპალიტეტის თუ რომელ სოფელშია მევენახეობა საგრძნობლად განვითარებული. ამ დროს მუნიციპალიტეტში 2350 დონუმი ვენახია. დონუმი უდრის 40 ნაბიჯს და ერთ დონუმზე გადასახადი შეწერილია 40 ახჩის რაოდენობით. მთლიანად გადასახდელია 2350 X 40 = 94000 ახჩა.

ხილზე გადასახადი შეადგენდა 1440 ახჩას, ხოლო ბოსტნეულზე 350 ახჩას. გადასახადები შეწერილია ერბოზე (16320 ახჩა), სკაზე (4900 ახჩა), ცხვარზე (24490 ახჩა), ღორზე (9040 ახჩა).

ცალკეა გამოყოფილი გადასახადი წისქვილზე. ერთ თვალ წისქვილზე წლიური გადასახადი შეადგენდა 120 ახჩას. ამ დროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებდა 60 წისქვილი. ე.ი. გადასახდელი იყო 120 X 60 = 7200 ახჩა.

თივაზე გადასახადი შეწერილი ჰქონდა სურამს (90 ახ,ჩა), შინდარას (90 ახჩა), ებრაელთ დასახლებას (90 ახჩა) და ალს (80 ახჩა), სულ გადასახადი იყო 350 ახჩა.

ერთ-ერთი გადასახადია დეშთიბანი, მიწაზე თაფუს გადასახადი. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ორი გადასახადი - დეშთიბანი და თაფუ ერთ გადასახადშია წარმოდგენილი. პროფ. ნ. შენგელია აღნიშნავს, რომ თაფუს გადასახადი თურქეთში მიწათ გადასახადშია წარმოდგენილი. პროფ. ნ. შენგელია აღნიშნავს, რომ თაფუს გადასახადი თურქეთში მიწათსარგებლობის ერთი პირობათსარგებლობის ერთი პირობათაგანი იყო და წერს: „თაფუ გაიღბოდა მაშინ, როცა მიწის ნაკვეთი ერთი მფლობელიდან, სხვადასხვა მიზეზების გამო, მეორის ხელში გადადიოდა. თაფუ მამიდან შვილზე გადადიოდა. მემკვიდრის არყოლის შემთხვევაში მიწისმფლობელი მიწას აძლევდა რეაიას ახლო ნათესავს თაფუს საფუძველზე. პირდაპირი მემკვიდრე - შვილი მიწას იღებდა თაფუს გარეშე. კანონთა წიგნში თაფუს შესახებ ნათქვამია: „უკეთუ რეაიადან კვდება ვინმე და მას მიწა რჩება, (ეს მიწა) შვილზე გადადის, როგორც სამკვიდრო მფლობელობა. თუ მას შვილი არა ჰყავს, მის ძმაზე არ გადადის,თაფუს წესებს დაექვემდებარება. მაგრამ თუ მისი ძმა გადაიხდის თაფუს იმ გამოსაღებს, რომელსაც სხვა იძლევა, მაშინ (მიწა) სხვას არ გადაეცემა“.

კანონით ნებადართული იყო ქალისათვის მიწის გადაცემა თაფუს საფუძველზე, ქალი კი, თავის მხრივ, ვალდებული იყო მიწა დაუმუშავებელი არ დაეტოვებინა. „უკეთუ ქალი მის მფლობელობაში მყოფ მიწას დაუმუშავებელს და ცარიელს არ დატოვებს და ახალ სახელმწიფო დავთარში ჩაწერილი (წესების) მიხედვით იხდის ბეჰრესა და გამოსაღებს, მისგან (მიწების) ჩამორთმევა ნება დართული არ არის“ (თსუ შრომები, ტ.91, 1960, ნ. შენგელია, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, გვ.286).

თაფუს გამოსაღების რაოდენობა დამოკიდებული იყო სხვადასხვა გარემოებაზე. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ თაფუ საუკეთესო მიწიდან გაიღებოდა 50 ახჩა, საშუალო მიწიდან 30-40 ახჩა, ხოლო უვარგისიდან - 20 ახჩა (იქვე, გვ.286-287).

დავთრის მიხედვით ძნელია თაფუს გამოსაღების რაოდენობის გარკვევა. ამას ხელს უშლის ისიც,რომ იგი გაერთიანებულია დეშთიბანის გადასახადთან და არ არის ნაჩვენები თუ როგორო ხარისხის მიწაზეა გაწერილი.

ნ. შენგელია დეშთიბანის გადასახადზე მიუთითებს, რომ „მისი შინაარსი ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის“ და „იგი ველზე დაწესებული გადასახადი უნდა იყოს“(იქვე, გვ.287).

აღნიშნული გადასახადი ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის მთლიანად შეადგენდა 7735 ახჩას.

დავთარში წარმოდგენილ ხაშურის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს შეწერილი აქვს არუსანეს გადასახადი 4740 ახჩის ოდენობით. სოფლების უმრავლესობა გადასახადს 120 ახჩის რაოდენობით იხდის. მხოლოდ რამდენიმე სოფელზეა (წრომი, კრისხევი, ქვიშხეთი, ტეზერი, სურამი, იტრია, ვაყა, ნაბახტევი) შეწერილი 180 ახჩა.

ნ. შენგელიას განმარტებით, არუსანე საქოწინო გადასახადია და გადახდებოდა იმ პირს, ვინც ქორწინდებოდა. იგი გადასახადს იხდიდა პირველი ღამის უფლების გამოსყიდვის სახით. საქორწინო გადასახადს სხვადასხვა ოდენობით იხდიდა ქრისტიანი და მუსლიმანი, ქვრივი და ქალწული. წყაროების მიხედვით მუსლიმანები საქორწინო გამოსაღებს ქალიშვილისაგან 60 და ქვრივი ქალისაგან - 30 ახჩას იღებდნენ. ზოგიერთ ვილაიეთში გადასახადის სხვა რაოდენობა იყო დაწესებული,შესაბამისად 40 და 25 ახჩა. ქრისტიანთან შედარებით მუსლიმანი საქორწინო გამოსაღებს ორჯერ მეტს იხდიდა. წყაროებში განმარტებულია, რომ „რესმი არუსს მუსლიმანი ქალიშვილისაგან 60 ახჩას და ქვრივისაგან - 30

(გაგრძელება V გვერდზე)

(გაგრძელება)

ახჩა აიღება“. საქორწინო გადასახადს მიწის პატრონი იღებდა. თურქები მუსლიმანებს გაცილებით მეტს ართმევდნენ, ვიდრე ქრისტიანებს, რასაც იმით ხსნიან ,რომ თურქის ქალები უფრო ძვირად ფასობდა და უფრო მეტი ღირსებები გააჩნდა თურქი ფეოდალის თვალში. სხვა ეროვნების ქალები მხოლოდ ჰარამხანებისთვის თუ გამოდგებოდა. ამიტომ საქმრო არამუსლიმანი ქალწულ ქალისთვის იხდიდა საქორწინო გადასახადს დადგენილი კანონის მიხედვით, ნახევრის ოდენობით, ე.ი. 30 ახჩას, ხოლო არაქალწულისათვის - 25 ახჩას (ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ.1974, გვ.198-200).

უნდა გამოვყოთ ისეთი გადასახადის სახეობა, როგორიც ბადიჰავაა. იგი სხვა გადასახადებთან არის გაერთიანებული ერთ ჯგუფში და ყოველწლიური გამოსაღებია. ბადიჰავასთან გაერთიანებულია შემდეგი გადასახადები: ჯურუმ ჯიბაიეთი – გადასახადი დანაშაულზე, იავა ვე კაჩკუნ – დაკარგული საქონლის, აყრილ-გაქცეული რეაიას (გლეხის) შემთხვევაში დაკისრებული გადასახადი და სხვ. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა იხდიდა ბადიჰავას ჯგუფის გადასახადს 12970 ახჩის ოდენობით.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მუნიციპალიტეტის სოფლების ერთი ნაწილი წარმოდგენილია საციციანოს ნაჰიეში.

სოფელი ყელეთში (კილეთი) აღწერილია 15 კომლი (სახლი) და მასში წარმოდგენილია 22 სრულწლოვანი კაცი. აქვეა ნაკვეთი, რომელსაც მართებს გადასახადი 50 ახჩის ოდენობით. წარმოდგენილია სახასო ვენახიც,რომელზეც 12 ახჩაა შეწერილი. შემდეგ ჩამოთვლილია ოსმალური გადასახადები, რომელსაც იხდის სოფელი. გადასახადები 12.800 ახჩის ოდენობისაა. კერძოდ, ისფინჯის გადასახადს იხდის 22 კაცი 2640 ახჩის ოდენობით. ცალკეული გადასახადები ასეა წარმოდგენილი:
ხორბალი - 160 ქილა (4000 კგ.), რომლის ღირებულებაცაა 3200 ახჩა.

ქერი 80 ქილა (2000 კგ.), ღირებულება 1200 ახჩა.
ჭვავი - 40 ქილა (1000 კგ.), 600 ახჩის.
ფეტვი - 50 ქილა (1250 კგ.), 750 ახჩის.
უშრის გადასახადი ვენახზე 3200 ახჩას შეადგენს. აქ ვენახი 80 დონუმია. ერთი დონუმი 40 ნაბიჯია.

ერბოზე გადასახადი 200 ახჩაა, ერთ სკაზე - 120, ცხვარზე - 300, ღორზე - 120.

არუსანეს (საქორწინო) გადასახადი შეადგენდა 120 ახჩას, დეშთიბანის და მიწაზე თაფუს გადასახადი - 180 ახჩას.

ბადიჰავას ჯგუფში გაერთიანებულ გადასახადებზე შეწერილია 250 ახჩა (1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, თბ. 2009, გვ. 212).

სოფელ ბოსლეთი იხდის 7050 ახჩის ეკვივალენტის გადასახადებს. აქ აღწერილია 8 კომლი (სახლი) 14 სრულწლოვანი კაცით. არის მიწის ნაკვეთი, რომელსაც მართებს გადასახადი 50 ახჩის ოდენობით. ისფინჯის გადასახადს იხდის 14 კაცი და შეადგენს 1680 ახჩას. ერთი კაცი იხდის საკმაოდ დიდ თანხას - 120 ახჩას.

ხორბალი შეწერილია 80 ქილა (2000 კგ.), რაც 1600 ახჩის ღირებულებისაა.

ქერი - 50 ქილა (1250 კგ.), 750 ახჩის.
ჭვავი - 20 ქილა (500 კგ.), 300 ახჩის.

ფეტვი - 30 ქილა (750 კგ.), 450 ახჩის.
უშრის გადასახადი ვენახზე შეწერილია 800 ახჩა. აქ იყო 20 დონუმი ვენახი. ერთ დონუმზე (40 ნაბიჯი) შეწერილია 40 ახჩა.

ერბოზე გადასახადი 200 ახჩაა, სკაზე - 100, ცხვარზე - 500 და ღორზე 120 ახჩა.

არუსანეს გადასახადი 120 ახჩაა, ხოლო დეშთიბანის და მიწაზე თაფუს გადასახადი 180 ახჩა. ბადიჰავას ჯგუფის გადასახადები სოფელზე შეწერილია 250 ახჩის ოდენობით (იქვე, გვ. 213-214).

სოფელ წვიმოეთში (ზემოვეთი) დაფიქსირებულია 9 კომლი (სახლი) 18 სრულწლოვანი კაცით. აქაც არის მიწის ნაკვეთი, რომელსაც მართებს გადასახადი 50 ახჩის ოდენობით. ისფინჯის გადასახადს იხდის 18 კაცი, რაც შეადგენს 2160 ახჩას. წვიმოეთელები იხდიან 90 (2250 კგ.) ქილა ხორბალს, რომლის ღირებულებაც 1800 ახჩაა. აგრეთვე, იხდიან 80 ქილა ქერს (2000 კგ.), რაც 1200 ახჩის ღირებულებისაა; 20 ქილა ჭვავს (500 კგ.), 300 ახჩა; 40 ქილა ფეტვს (1000 კგ.), ახჩა 600.

უშრის გადასახადი ვენახზე შეადგენდა 800 ახჩას, იყო 20 დონუმი ვენახი, ერთ დონუმზე შეწერილი იყო 40 ახჩა.

იხდიდნენ გადასახადს ერბოზე 120 ახჩის ოდენობით, სკაზე - 90 ახჩა, ცხვარზე - 250, ღორზე - 180.

არუსანეს გადასახადი 120 ახჩის ოდენობით იყო შეწერილი, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი კი 180 ახჩა.

ბადიჰავას ჯგუფის გადასახადი 250 ახჩას შეადგენდა (იქვე, გვ.214-215). სოფელ წრომში (თრუმი) 43 კომლი მოსახლეა. უნდა ეცხოვრა 215 კაცს. მათში ფიქსირდება 58 სრულწლოვანი გადახდის უნარიანი 58 კაცი, რომელზეც შეწერილია ისფინჯის გადასახადი 6960 ახჩის ოდენობით. ერთი კაცი იხდის 6960:58=120 ახჩას.

არის მიწის ნაკვეთი და „სამეუფეო ველი“, რომელთაც ცალცალკე თითოეულს მართებს გადასახადი 20 ახჩის ოდენობით.
წრომი იხდის: 400 ქილა ხორბალს, რაც შეადგენს 10.000 კგ-ს. ხორბლის ღირებულება იყო 8000 ახჩა.
200 ქილა ქერს (5000 კგ.), ახჩა 3000.

50 ქილა ჭვავს (2500 კგ.), ახჩა 750.
120 ქილა ფეტვს (3000 კგ.), ახჩა 1800.

უშრის გადასახადი მიგვანიშნებს, რომ წრომში მევენახეობა მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენდა. აქ იყო 90 დონუმი ვენახი. ერთი დონუმი შეადგენდა 40 ნაბიჯს. თითოეულ დონუმზე შეწერილი იყო 40 ახჩა. სულ გადასახადი შეადგენდა 3600 ახჩას.

არუსანეს გადასახადი შეწერილი იყო 180 ახჩის ოდენობით, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი კი 450 ახჩა.

ერბოზე გადასახადი - 500 ახჩა იყო, ცხვარზე - 1200, სკაზე - 120, ღორზე - 300. ბადიჰავასა და მასში გაერთიანებული გადასახადები შეადგენდა - 950 ახჩას.

წრომზე მთლიანად შეწერილი იყო 27.810 ახჩის ეკვივალენტი გადასახადი (იქვე, გვ. 216-217).

ოსმალური გადასახადებით ასევე სოლიდურად გამოიყურება სოფელი კრისხევი (ქიზისხევი), რომელიც დავთრის მიხედვით ახლოსაა სათესველ ღართასთან. აქ დაფიქსირებულია 48 კომლი 240 სულით. წრომის მსგავსად, აქაც 58 სრულწლოვანი გადამხდელი კაცია, რომელზეც გაწერილია ისფინჯის გადასახადი 6960 ახჩის ოდენობით.

აქაც არის მიწის ნაკვეთი, რომელსაც მართებს გადასახადი 50 ახჩის ოდენობით. სახასო, „სამეუფეო“ ველს მართებს 20 ახჩა, აგრეთვე არის სახასო, „სამეუფეო“ ვენახი, რომელსაც მართებს გადასახადი.

კრისხეველები იხდიან 400 ქილა ხორბალს (10000 კგ.), ახჩა 8000; 200 ქილა ქერს (5000 კგ.), ახჩა 3000; 60 ქილა ჭვავს (1500 კგ.), ახჩა 900; 120 ქილა ფეტვს (3000 კგ.), ახჩა 1800.

უშრის გადასახადი ვენახზე 4000 ახჩას უდრიდა. სულ იყო 100 დონუმი ვენახი.
უშრის გადასახადი იყო ხილზეც - 150 ახჩა.

გადასახადი ერბოზე შეადგენდა 500 ახჩას, სკაზე - 200, ცხვარზე - 1300, ღორზე - 300.

არუსანეს გადასახადი კრისხევზე შეწერილი იყო 180 ახჩა, ხოლო დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი 450 ახჩა.

ამ დროს კრისხევში იყო 5 თვალი წისქვილი, რომელზეც შეწერილი იყო წლიური გადასახადი 600 ახჩის ოდენობით.
ბადიჰავას ჯგუფის გადასახადები შეადგენდა 800 ახჩას.
კრისხევზე მთლიანად გაწერილი იყო 29140 ახჩის გადასახადი (იქვე, გვ.217-218).

სოფელ მშვლისყურზე//შლუყურზე (შულიშკური) დავთარში მწირი ინფორმაციაა შეტანილი. აქ ფიქსირდება 5 კომლი (სახლი) 25 სულით. ამათში 9 კაცია სრულწლოვანი გადასახადის გადამხდელი. მიწის ნაკვეთზე დავალიანება 50 ახჩაა. ოსმალური გადასახადები შეადგენს 3000 ახჩის ეკვივალენტს (იქვე, გვ.218-219).
სოფელ ხალებში (კალიბი) 11 კომლია დაფიქსირებული. აქ სრულწლოვანი გადასახადის გადამხდელია 20კაცი. ისინი ისფინჯის გადასახადს 2400 ახჩის ოდენობით იხდიან. არის მიწის ნაკვეთი, რომელსაც მართებს 50 ახჩა. რაც შეეხება სხვა გადასახადებს, ხალები იხდის 120 ქილა ხორბალს (2400 ახჩა0; 80 ქილა ქერს (1200 ახჩა); 20 ქილა ჭვავს (300 ახჩა); 40 ქილა ფეტვს (600 ახჩა). უშრის გადასახადი ვენახზე შეადგენდა 800 ახჩას. აქ იყო 20 დონუმი ვენახი. თითო დონუმზე შეწერილი იყო 40 ახჩა.

ერბოზე შეწერილია 250 ახჩა, სკაზე - 120, ცხვარზე - 250, ღორზე - 120.

არუსანეს გადასახადი იყო 120 ახჩა. დეშთიბანის და მიწაზე თაფუს გადასახადი კი 200 ახჩა. ბადიჰავას ჯგუფის გადასახადი შეადგენდა 390 ახჩას (იქვე, გვ.219).
ამილახვრის ნაჰიე ქვიშხეთით იწყება. მითითებულია, რომ იგი ახლოსაა ტაშისკარის დასახლებასთან, თუმცა აღნიშნულ დასახლებაზე დავთარში არავითარი ინფორმაცია მოგვეპოვება.

მოსახლეობის აღწერაში დაფიქსირებულია „ვახუშტი ძე ლევანდისა თავადია“. ეს თავადი ვახუშტი ლევანის ძე აბაშიძეა, რომელსაც ქართლის სამეფო კარმა 1711 წელს უბოძა უძეოდ გადავარდნილი ქართლის აბაშიძეების მამული (ქვიშხეთი, ტეზერი, მონასტერი და სხვ.). მასთან ერთად სახელდებიან მისი ძეები: ნათა (პაატა?), ლევანდი (ლევანი) და ნიკოლოზი.

ქვიშხეთში დაფიქსირებულია აგრეთვე ხუთი აზნაურის ოჯახი. ერთ-ერთი ოჯახი ყიფიანებისაა. დავთარში გვხვდება „ბეჟან ძე კაფიანისა აზნაურია“. ქვიშხეთში აღწერილია 84 კომლი (სახლი). გადასახადის გადამხდელი სრულწლოვანი კაცია 145.

აქვეა მიწის ნაკვეთები, რომელთაც მართებთ გადასახადის გადახდა 100 და 120 ახჩის ოდენობით. ველზე დაწესებული გადასახადი შეადგენს 40 ახჩას. წარმოდგენილია ვენახები, რომელსაც ფლობენ ავალიშვილები. არის სახასო ვენახიც.
ისფინჯის გადასახადს იხდის 145 კაცი და 17400 ახჩას უდრის.

ქვიშხეთელები იხდიან 600 ქილა ხორბალს (12000 ახჩა), 400 ქილა ქერს (6000 ახჩა), 100 ქილა ჭვავს (1500 ახჩა) და 190 ქილა ფეტვს (2850 ახჩა).

მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგი ქვიშხეთში მევენახეობაა. აქ უშრის გადასახადი 12000 ახჩაა გაწერილი. აქ არის 300 დონუმი ვენახი და თითოეულ დონუმზე გადასახდელია 40 ახჩა.
დიდი გადასახადებია შეწერილი ერბოზე (3500 ახჩა), სკაზე (300 ახჩა), ცხვარზე (3500 ახჩა), ღორზე (1200 ახჩა).

არუსანეს გადასახადი შეადგენს 180 ახჩას. დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი 500 ახჩაა.

ქვიშხეთელები გადასახადს იხდიან იათაკზე. მისი რაოდენობა 2-ია და 2400 ახჩაა გაწერილი.

ქვიშხეთში 12 თვალი წისქვილია, რაზეც წლიური გადასახადი შეადგენა 1440 ახჩას.

ბადიჰავას და მასში გაერთიანებული გადასახადების რაოდენობა 1000 ახჩა იყო.

მთლიანად გადასახადები ქვიშხეთზე გაწერილია 65.770 ახჩის ოდენობით.

ერთ კონტექსტში უნდა გავიხილოთ სოფელ ტეზერსა და სათესველ ჩალაზე შეწერილი ოსმალური გადასახადები, რადგან გაერთიანებული სახით არის წარმოდგენილი დავთარში.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენელთან

გასულ კვირას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების პრესის საკითხების თანაშემწე კრისტინ იარნგს შეხვდნენ.

შეხვედრას ესწრებოდა ხაშურის ამერიკის სივრცის წარმომადგენელი ქეთევან მეტრეველი.

შეხვედრაზე იმსჯელეს იმ განსაკუთრებული წვლილის შესახებ, რაც ამერიკული სივრცეებს შეაქვს საქართველოს რეგიონებში და მათ შორის ხაშურში როგორც ახალგაზრდების, ისე სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების ინდივიდუალური და პროფესიული განვითარების საქმეში. დაისახა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადეს საელჩოს წარმომადგენელს იმ მხარდაჭერისთვის, რასაც საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებისგან იღებს.

- კალათბურთი -

მერაბ ჩიტიაშვილის სახელობის ტურნირი დასრულდა

ქალაქ ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის დარბაზში, კალათბურთში, მერაბ ჩიტიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა.

პირველ ადგილზე გავიდა გუნდი „შევარდენი“, მეორე ადგილზე-„სანსი“, მესამე ადგილზე- „გიურზა“.

გამარჯვებულებს, თასები, მედლები და სიგელები გადასცეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ, სასპორტო სკოლის ხელმძღვანელმა ვანო ხარაზიშვილმა, ვეტერანმა კალათბურთელებმა ავთანდილ ხვედელიძემ და დიმა ღონღაძემ.

საუკეთესო მოთამაშის პრიზი ერგო გიორგი მამულაშვილს, რომელიც მერაბ ჩიტიაშვილის შვილმა, ლაშა ჩიტიაშვილმა დააჯილდოვა.

ტურნირი ყოველწლიურად იმართება და ორგანიზატორები არიან ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახური და ხაშურის სასპორტო სკოლა.

მიმდინარეობს ხიდის რეაბილიტაცია

მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შუამდგომლობით, ქალაქ ხაშურში, რკინიგზის სადგურზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, დაიგება ბეტონის საფარი, განახლდება კიბის კონსტრუქცია, მოაჯირები, განხორციელდება სამღებრო სამუშაოები.

ვინაიდან, ხიდზე მიმდინარე სამუშაოები, მოქალაქეებისთვის საფრთხის შემცველია, მოსახლეობას ვთხოვთ, რამდენიმე დღით, თავი შეიკავონ, ხიდზე გადაადგილების მცდელობისგან და ისარგებლონ ალტერნატიული გზით.

პროექტს ახორციელებს საქართველოს რკინიგზა და წარმომადგენლების განმარტებით, სამუშაოები ერთ კვირაში დასრულდება.

ხაშურში ადგილობრივი მეწარმეებისთვის პრაქტიკული კურსი - „როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ სოფლად ბიზნესი“ ჩატარდა

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კიკნაძე.

„სასიამოვნოა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ამდენი წარმატებული მეწარმეა და ისინი დაინტერესებულები და ჩართულები არიან სხვადასხვა სამეწარმეო პროგრამებში. ამ მიმართულებით ცოდნის ამაღლება კი სოფლად ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა, მადლობას ვუხდი შეხვედრის ინიციატორებს, დამსწრეებს კი წარმატებებს ვუსურვებ.“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა.

„განსაკუთრებით, სასიამოვნოა ქალი მეწარმეების აქტიურობა და ზოგადად, ასეთი შეხვედრები აუცილებელია, რადგან უფრო ეფექტურად დაიგეგმოს შემდგომი აქტივობები“ -აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

ტრენინგ - კურსის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანი.

შეხვედრა ჩატარდა სსიპ აწარმოე საქართველოში, სსიპ სოფლის განვითარების სააგენტოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (ჭომენ) მხარდაჭერით.

ხაშურის მუნიციპალიტეტში, შეხვედრის ორგანიზატორი იყო, მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

ანონსი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

რეგიონლიგა

5 ოქტომბერი

“ივერია” ხაშური-“ლეგიონი” გორი

დასაწყისი: 18 სთ.

ბილეთები იყიდება სტადიონის სალაროებში. ფასი 2 ლარი.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.